



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

# მზის თვის პროგნოზი

---

2025

|                             |    |
|-----------------------------|----|
| ინფლაცია .....              | 3  |
| საბანკო სექტორი .....       | 5  |
| საგარეო სექტორი .....       | 7  |
| სავალუტო ბაზარი .....       | 11 |
| ფულადი ბაზარი .....         | 14 |
| მონეტარული აგრეგატები ..... | 15 |


“თვის მიმოხილვა“  
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის  
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

# ინფლაცია


ინფლაცია სამიზნე 3 პროცენტიან მაჩვენებელთან ახლოს ნარჩუნდება. აპრილში წლიურმა ინფლაციამ 3.4% შეადგინა, ხოლო მარტთან შედარებით ფასების საერთო დონემ 0.2%-ით მოიმატა. ინფლაციას ყველაზე მეტად სურსათის ფასები ზრდიდა, ხოლო საწვავის ფასები ამცირებდა. საერთაშორისო ბაზრებზე ზოგიერთ საკვებზე გაზრდილი სურსათის ფასი ადგილობრივ ბაზარს გარკვეულწილად გადმოეცა, ხოლო საწვავის გაიაფება მსოფლიოში ნავთობის ფასის კლების ასახვაა.

საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომომარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს, 2.3% შეადგინა.

## თვის ინფლაცია 0.2% (მნიშვნელოვანი წვლილები)



## წლიური ინფლაცია 3.4% (მნიშვნელოვანი წვლილები)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

აპრილში გასულ თვესთან შედარებით სამომხმარებლო კალათაში ყველაზე მნიშვნელოვანი პურის 4.1%-იანი გაძვირება იყო, რის შედეგადაც თვის ინფლაცია 0.2 პპ-ით გაიზარდა. შემცირების მხრივ აღსანიშნავია ბენზინის 3.1%-იანი გაიაფება, რამაც თვის ინფლაცია 0.1 პპ-ით შეამცირა.


წლიურად, როგორც აღვნიშნეთ, ინფლაციის მატებაზე ყველაზე მეტად სურსათის გაძვირება მოქმედებდა. სურსათი გასულ წლის აპრილთან შედარებით 6.7%-ით გაძვირდა (გავლენა ინფლაციაზე 2.1 პპ). აქედან გამოსარჩევია პურის და მზესუმზირის ზეთის, შესაბამისად, 12% და 23%-ით გაძვირება, რამაც ინფლაცია 0.5 და 0.4 პპ-ით გაზარდა. სხვა პროდუქტებიდან აღსანიშნავია ცივილიზაციის მედიკამენტებისა და თერაპევტის კონსულტაციის გაძვირება (ჯამური გავლენა ინფლაციაზე 0.3 პპ). საწვავის გაიაფებამ ინფლაცია 0.3 პპ-ით შეამცირა.

## მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი


## ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ადგილობრივად და შერეულად ნაწარმოები პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ შესაბამისად 4.7% და 5.0% შეადგინა. ადგილობრივი ინფლაციის მატება ყველაზე მეტად პურის გაძვირებას უკავშირდება. მომსახურების ინფლაცია, რომელიც ადგილობრივის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, სტაბილურად ნარჩუნდება და აპრილში 2.4%-ს გაუცოლდა. შერეული ინფლაციის მატება ყველაზე მეტად მზესუმზირის ზეთის გაძვირებას უკავშირდება, რაც საერთაშორისო ბაზრებზე გაზრდილი საკვები ზეთის ფასების ასახვაა. იმპორტირებულ პროდუქტებში დიდწილად საწვავის გაიაფების გავლენით 1.0%-იანი დეფლაცია დაფიქსირდა.

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


| ინფლაცია ჯგუფების მიხედვით                                               | 2025 წლის წონები | აპრ25/მარ25 |        | აპრ25/აპრ24 |        |
|--------------------------------------------------------------------------|------------------|-------------|--------|-------------|--------|
|                                                                          |                  | ინფლაცია    | წვლილი | ინფლაცია    | წვლილი |
| სულ                                                                      | 100.0%           | 0.2%        | 0.2%   | 3.4%        | 3.4%   |
| სურსათი და უალკოჰოლო სასმელები                                           | 34.5%            | 0.4%        | 0.2%   | 7.0%        | 2.4%   |
| სურსათი                                                                  | 31.7%            | 0.5%        | 0.2%   | 6.7%        | 2.1%   |
| პური და პურპროდუქტები                                                    | 6.9%             | 2.2%        | 0.2%   | 8.3%        | 0.6%   |
| ხორცი და ხორცპროდუქტები                                                  | 7.0%             | 0.2%        | 0.0%   | 0.7%        | 0.1%   |
| თევზი                                                                    | 0.5%             | 1.5%        | 0.0%   | 6.1%        | 0.0%   |
| რძე, ყველი და კვერცხი                                                    | 6.1%             | -1.5%       | -0.1%  | 5.5%        | 0.3%   |
| ზეთი და ცხიმი                                                            | 2.9%             | 1.5%        | 0.0%   | 18.2%       | 0.5%   |
| ხილი, ყურძენი                                                            | 1.7%             | 5.2%        | 0.1%   | -8.3%       | -0.2%  |
| ბოსტნეული, ბალახეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით           | 3.0%             | -2.1%       | -0.1%  | 16.5%       | 0.5%   |
| შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი              | 2.9%             | 0.2%        | 0.0%   | 10.9%       | 0.3%   |
| კვების სხვა პროდუქტები                                                   | 0.6%             | -1.8%       | 0.0%   | 3.0%        | 0.0%   |
| უალკოჰოლო სასმელები                                                      | 2.8%             | -0.2%       | 0.0%   | 10.5%       | 0.3%   |
| ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო                                          | 6.4%             | -0.2%       | 0.0%   | 3.3%        | 0.2%   |
| ტანსაცმელი და ფეხსაცმელი                                                 | 4.7%             | 1.5%        | 0.1%   | 0.3%        | 0.0%   |
| საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები | 9.8%             | 0.0%        | 0.0%   | 1.1%        | 0.1%   |
| ავტო, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება                | 5.3%             | -0.7%       | 0.0%   | -2.7%       | -0.1%  |
| ჯანმრთელობის დაცვა                                                       | 8.1%             | 0.4%        | 0.0%   | 9.2%        | 0.7%   |
| ტრანსპორტი                                                               | 10.9%            | -1.0%       | -0.1%  | -2.2%       | -0.2%  |
| კავშირგაბმულობა                                                          | 3.2%             | -0.1%       | 0.0%   | -12.4%      | -0.5%  |
| დასვენება, გართობა და კულტურა                                            | 3.8%             | 0.0%        | 0.0%   | 0.1%        | 0.0%   |
| განათლება                                                                | 5.4%             | 0.0%        | 0.0%   | 4.9%        | 0.3%   |
| სასტუმროები, კაფეები და რესტორნები                                       | 3.1%             | 0.7%        | 0.0%   | 6.1%        | 0.2%   |
| სხვადასხვა საქონელი და მომსახურება                                       | 4.7%             | 0.6%        | 0.0%   | 6.1%        | 0.3%   |
| მოკლევადიანი მოხმარების საქონელი                                         | 60.8%            | 0.0%        | 0.0%   | 4.6%        | 2.8%   |
| საშუალოვადიანი მოხმარების საქონელი                                       | 8.1%             | 0.9%        | 0.1%   | -1.0%       | -0.1%  |
| ხანგრძლივადიანი მოხმარების საქონელი                                      | 5.2%             | -0.6%       | 0.0%   | -0.6%       | 0.0%   |
| მომსახურება                                                              | 25.9%            | 0.3%        | 0.1%   | 2.4%        | 0.6%   |

წყარო: საქსტატი

# საბანკო სექტორი


მარცში, საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები<sup>1</sup> წლიურად, 6.6 მლრდ ლარით, 12.7%-ით გაიზარდა და 58.4 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული მონაცემი, თვითურა წილში კი 0.6 მლრდ ლარით გაიზარდა. წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები 0.6 მლრდ ლარით (2.1%-ით) გაიზარდა და 27.5 მლრდ ლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, ვადიანი დეპოზიტების მადებამ (615.0 მლნ ლარით) განაპირობა. უცხოური ვალუტის დეპოზიტები წინა თვესთან შედარებით, 0.1 მლრდ ლარით გაიზარდა.

## სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


## სადეპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთების გარეშე), წინა თვესთან შედარებით 0.04 პპ-ით შემცირდა და 5.9%-ს გაუცოლდა. ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე, საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 7.7%-ი შეადგინა, უცვლელია უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი და 2.0%-ის ნიშნულზეა. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით გაიზარდა და 11.2% შეადგინა. ასევე, გაიზარდა აშშ დოლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები, 0.1 პპ-ით, 2.7%-მდე. ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები კი შემცირდა 0.2 პპ-ით და 1.3%-ი შეადგინა.

## დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის გარეშე, ნაპალი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაპალი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეპოზიტების დოლარიზაციამ, მარცში, 52.8% შეადგინა. მარცის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.1 პპ-ით, 66.0%-მდე, ხოლო იურიდიული პირების დოლარიზაცია 0.8 პპ-ით, 43.2%-მდე გაიზარდა. ამასთან, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, მარცში, წინა თვესთან შედარებით 0.5 პპ-ით, 63.2%-მდე შემცირდა.


<sup>1</sup> 14 კომერციული ბანკის მიხედვით.

**დამოუკიდებელი დოლარიზაცია  
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**ფიზიკური პირების ვალდებულებების დამოუკიდებელი დოლარიზაცია  
(კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხები წლიურად 16.6%-ით გაიზარდა.** წინა თვესთან შედარებით, სესხების ზრდის ტემპი 0.8 პპ-ით შემცირდა, რაც როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტის დაკრედიტების ზრდის ტემპის კლებამ განაპირობა. კერძოდ, ეროვნული ვალუტით დაკრედიტება წლიურად 21.5%-ით გაიზარდა, რაც წინა თვესთან შედარებით 0.7 პპ-ით ნაკლებია და მთლიანი სესხების ზრდაში 11.9 პპ წვლილი შეიტანა. მარცში დაკრედიტების ზრდის ტემპის შენელება მეტწილად ბიზნესის სესხებს უკავშირდება.

**სასხაების წლიური ზრდის ტემპი  
(წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სასხაები მიზნობრიობის მიხედვით  
(წლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარცში, სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.2 პპ-ით შემცირდა და 13.5% შეადგინა. ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით გაიზარდა და 16.0%-ს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 9.0%-მდე, შემცირდა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე  
გაცემულ სასხაზე (ნაპალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სასხაზე (ნაპალი)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

იურიდიულ პირებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.2 პპ-ით გაიზარდა და 12.9% შეადგინა. იპოთეკურ სესხებზე ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია და 13.3%-ს შეადგენს. მარცში, წინა თვესთან შედარებით, იურიდიულ პირებზე უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.4 პპ-ით, 9.2%-მდე შემცირდა. უცხოური ვალუტით გაცემული იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი კი 0.4 პპ-ით, 8.1%-მდე გაიზარდა.


მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 0.4 პპ-ით, 43.1%-მდე გაიზარდა. იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით, 0.5 პპ-ით, 63.7%-მდე, ხოლო ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია, 0.1 პპ-ით, 24.5%-მდე გაიზარდა. მარცში, ვადაგადაცილებული სესხები, წინა თვესთან შედარებით, 54.6 მლნ ლარით შემცირდა და 554.6 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 50.9% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

#### დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

#### ვადაგადაცილებული დავალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## საგარეო სექტორი


მარცში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 18.7%-ით გაიზარდა და 836.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მოცემულ პერიოდში იმპორტის ზრდა აღემატებოდა ექსპორტის ზრდას რაც საგარეო დეფიციტის გაღრმავების მიზეზი გახდა. კერძოდ, საქონლის იმპორტი წლიურად 14.3%-ით, 1.4 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, ხოლო ექსპორტი 8.2%-ით გაიზარდა და 565.8 მლნ აშშ დოლარს გაუცოლდა.

#### საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და საგარეო ბალანსის დინამიკა



წყარო: საქსტატი

#### საგარეო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (მარტი 2025)



წყარო: საქსტატი



**იმპორტი** - მარცში საქონლის იმპორტი წლიურად 14.3%-ით გაიზარდა. ზრდაში შუალედური და სამომხმარებლო საქონლის წვლილები თითქმის თანაბარი იყო - შესაბამისად, 6.3 და 6.1 პპ. საინვესტიციო საქონლის დადებითი წვლილი 1.9 პპ-ს შეადგენდა.

სამომხმარებლო საქონლის იმპორტის ზრდაში წამყვანი წვლილი სამკურნალო საშუალებებსა და თამბაქოს ნაწარმს ქონდა. ამასთან, მსუბუქი ავტომობილების იმპორტი შემცირდა, რამაც ზრდის ტემპი შეანელა. შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტში ყველაზე მნიშვნელოვანი ზრდა ნახშირბადოვანი ფოლადის ნაწარმზე დაფიქსირდა, მაშინ როცა ნავთობის აირების იმპორტი შემცირდა. მიუხედავად ამისა, ჯგუფში არ გამოიკვეთა პროდუქტები, რომლებმაც გამორჩეულად მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საერთო დინამიკაზე. საინვესტიციო საქონლის იმპორტის ზრდაზე მოქმედი ერთჯერადი ფაქტორები დაფიქსირდა. საერთო ჯამში, მარცში იმპორტის ზრდა სხვადასხვა საქონლის იმპორტის ზომიერი ზრდით იყო განპირობებული და არა ცალკეული კონკრეტული პროდუქტებით.

წლიურად საქონლის იმპორტი რეალურ გამოხატულებაში (რაოდენობრივად, საქონლის ფასის მერყეობის გამორიცხვით) 6.6%-ით გაიზარდა.

**საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)**

**საქონლის რეალური იმპორტი (წლიური ცვლილება)**



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი

ქვეყნების ჯგუფების წრილში, მარცხის იმპორტის ზრდაში წამყვანი წვლილი ევროკავშირის ქვეყნებმა შეიძინა. სასაქონლო წრილში კი ზრდას ძირითადად ნავთობპროდუქტების იმპორტი განაპირობებდა, რომელიც ძირითადად ბულგარეთიდან და რუმინეთიდან განხორციელდა. შედეგად, ევროკავშირის წილი ნავთობპროდუქტების იმპორტში 29.2%-დან 45.4%-მდე გაიზარდა. გარდა ამისა, წამყვანი საქონელი მსუბუქი ავტომობილებია, რომლის იმპორტიც ძირითადად გერმანიიდან ხორციელდება. აღსანიშნავია, ავტომობილების იმპორტის ზრდა ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდანაც, რის შედეგადაც ევროკავშირის წილი ავტომობილების მთლიან იმპორტში 21.7%-დან 24.8%-მდე გაიზარდა.

ქვეყნებს შორის კი იმპორტის ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილი ჩინეთს ქონდა. ზრდა ძირითადად განაპირობა საბურავების, კომპიუტერული ტექნიკისა (გამომთვლელი მანქანების) და ნახშირბადოვანი ფოლადის ნაწარმის იმპორტმა. ასევე სხვადასხვა საქონლის შესყიდვების მატებამ მთლიან იმპორტზე ზრდის მიმართულებით იმოქმედა. ხოლო საცვრიო ავტომობილების იმპორტმა - კლების მიმართულებით.

თურქეთიდან იმპორტის ზრდა ძირითადად სამშენებლო დანიშნულების საქონელს უკავშირდება - მათ შორის, ნახშირბადიანი ფოლადის წნელებსა და მერქან-ბურბუშელას ფილებს. ასევე გაზრდილია სამკურნალო საშუალებების იმპორტი.

რუსეთიდან იმპორტზე დანახარჯები გაიზარდა ნახშირბადიანი ფოლადის ნაწარმისა და სამრეწველო დანადგარების იმპორტის ხარჯზე. მეორეს მხრივ, კლების მიმართულებით იმოქმედა ნავთობპროდუქტებისა და ნავთობის აირების შესყიდვების კლებამ.

აშშ-დან იმპორტის კლება კი მსუბუქი ავტომობილების შესყიდვების შემცირებას უკავშირდება.


აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაზე მთლიანი იმპორტის 62% მოდიოდა. აღსანიშნავია, რომ პროდუქტების წრილში, მარცხში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქი ავტომობილების, ნავთობპროდუქტებისა და სამკურნალო საშუალებების იმპორტს ეკავა, ხოლო ზრდაში წამყვანი წვლილი (კონტრიბუცია) სამკურნალო საშუალებებსა და თამბაქოს ნაწარმს.

**საქონლის იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით (მარტი 2025. მლნ აშშ დოლარი)**

|                                 |                           |                                   |                    |
|---------------------------------|---------------------------|-----------------------------------|--------------------|
| მსუბუქი ავტომობილები, 215       |                           |                                   |                    |
| ნავთობი და ნავთობპროდუქტები, 99 | ნავთობის აირები, 46       |                                   |                    |
|                                 | საფუძვლო აპარატები, 23    | თამბაქოს ნაწარმი, 19              |                    |
|                                 | გამომთვლელი მანქანები, 17 | წველი ჩამოსაღები ირი ფილაფი..., 1 |                    |
| სამკურნალო საშუალებები, 68      |                           | საფუძვლო ავტომობილები, 16         | ბრწყინი ნაღები, 12 |
| სხვა, 876                       |                           |                                   |                    |

წყარო: საქსტატი

**ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (მარტი 2025)**




წყარო: საქსტატი

**ექსპორტი** - მარცხში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 8.2%-ით გაიზარდა და 565.8 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა. ზრდაში წამყვანი იყო სამომხმარებლო საქონლის ექსპორტი, ხოლო საინვესტიციო საქონელი ექსპორტზე შემცირების მიმართულებით მოქმედებდა. სამომხმარებლო საქონლის ჯგუფიდან ყველაზე დიდი პოზიციური წვლილი მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტს ჰქონდა. ადგილობრივი წარმოების პროდუქტის, ღვინის ექსპორტის კლებამ, საექსპორტო შემოსავლების შემცირების მიმართულებით იმოქმედა. შუალედური მოხმარების საქონლის ექსპორტში, ყველაზე მეტად ძვირფასი ლითონების მადნების რეექსპორტი გაიზარდა, ასევე გაზრდილია რამდენიმე ადგილობრივი წარმოების საქონლის ექსპორტი. აღსანიშნავია, რომ ფეროშენადნობებმა საექსპორტო შემოსავლებზე კლების მიმართულებით იმოქმედა. საინვესტიციო საქონლის ექსპორტის კლება სხვადასხვა სამრეწველო საქონლის რეექსპორტის კლებას უკავშირდება.


2025 წლის მარცხში საქონლის ექსპორტი რეალურ გამოხატულებაში 9.8%-ით შემცირდა.

საქონლის შესაძენი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)



წყარო: საქსტატი

საქონლის რეალური შესაძენი (წლიური ზრდა)



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

რეგიონის ქვეყნებიდან საქსპორცო შემოსავლების ზრდაში ყველაზე მაღალი წვლილი ყირგიზეთში, ყაზახეთსა და აზერბაიჯანში ექსპორტის ზრდას ჰქონდა, რაც ძირითადად მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტით იყო განპირობებული. ამავდროულად, საქსპორცო შემოსავლები შემცირებულია რუსეთის ფედერაციიდან და თურქეთიდან.

რუსეთში ექსპორტის კლება ძირითადად ღვინის გაყიდვების შემცირებამ განაპირობა. აგრეთვე შემცირებულია სხვა ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტიც. ზრდის მიმართულებით პოზიციური წვლილი შეიძლება სპირტიანი სასმელების ექსპორტმა.

თურქეთიდან მიღებული საქსპორცო შემოსავლების შემცირება ფეროშენადნობების, ტექსტილის ნაწარმისა და მინერალური სასუქების გაყიდვების კლებას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ მეორეს მხრივ, გაიზარდა ევროკავშირში ფეროშენადნობების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები, რაც ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის წლიური 50.8%-იანი ზრდის დაახლოებით ნახევარს შეადგენს. აღნიშნულ თვეში, 7 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაზე მთლიანი ექსპორტის 71% მოდიოდა.

წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტის დივერსიფიკაცია უმნიშვნელოდ იყო შემცირებული. მარცში საქონლის ექსპორტში ყველაზე დიდი წილი მსუბუქ ავტომობილებს (38.1%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. გაზრდილია ადგილობრივად წარმოებული საქონლის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი. ძირითადი საქსპორცო პროდუქტებიდან გაიზარდა მინერალური წყლების, სპირტიანი სასმელების და სოფლის მეურნეობის ნაწარმის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი. მეორეს მხრივ, კვლავ შემცირებას განაგრძობს ღვინის და ფეროშენადნობების გაყიდვებიდან მიღებული საქსპორცო შემოსავლები.


წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვითაც ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის შესაძენი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (მარტი 2025, მლნ აშშ დოლარი)

|                             |                                  |                          |                            |  |
|-----------------------------|----------------------------------|--------------------------|----------------------------|--|
| მსუბუქი ავტომობილები, 215.5 | სპირტიანი სასმელები, 25.3        |                          | ფეროშენადნობები, 22.5      |  |
|                             | ყურძნის ღვინოები, 20.5           |                          | მინერალური წყლები, 17.7    |  |
|                             | მადნები ძვირფასი ლითონების, 13.3 | სასუქები აზოტოვანი, 12.1 | თხილი და სხვა კაკალი, 11.2 |  |
|                             | წყლები და გაზიანებული, 10.6      | სპილენძის მადნები, 10.6  |                            |  |
|                             | ლი,...                           |                          |                            |  |

წყარო: საქსტატი

ქვეყნების წილი საქონლის შესაძენში (მარტი 2025)




წყარო: საქსტატი

**ფულადი გზავნილები** - მარცხში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობა წლიურად 3.9%-ით, 291.9 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა. ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა - 8.5%-ით, 32.1 მლნ აშშ დოლარამდე. ევროკავშირიდან მიღებული ფულადი გზავნილები 12.3%-ით, 131.5 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა და პრაქტიკულად დააბალანსა რუსეთიდან მიღებული ფულადი გზავნილების კლება. რუსეთიდან ფულადი გადმორიცხვები წლიურად 29.1%-ით, 37.8 მლნ აშშ დოლარამდე შემცირდა. თუმცა 21.7%-ით ზრდას განაგრძობდა აშშ-დან მიღებული გზავნილები.


ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (45.1%), აშშ (18.8%) და რუსეთი (13.0%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის, საბერძნეთისა და გერმანიის მაღალი წილი.

ქვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებაში (მარტი 2025)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფულადი გზავნილების ზრდა (წვლილი ზრდაში ქვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

# საპალუტო ბაზარი

მარტში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.8185-დან 2.7791-მდე (1.4%-ით) გამყარდა, ხოლო ევროს მიმართ - 2.9354-დან 2.9951-მდე (2.0%-ით) გაუფასურდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.7673 და 2.9818 შეადგინა. მარტში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.7905 იყო, მინიმალური კი - 2.7673.

## ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები თანაბრად იყო გადახრილი.


საშუალოდ, დოლართან მიმართებაში თურქული ლირა გაუფასურდა, მნიშვნელოვნად გამყარდა რუსული რუბლი. ასევე გამყარებით ხასიათდებოდა ევრო, ლარი და სომხური დრამი, აზერბაიჯანული მანათი კი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

## თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაპაზონი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების ცვლილება დოლართან მიმართებით (მარტი 2025; ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი წლიურად 7.4%-ით გაუფასურდა, თვის წრილში კი პრაქტიკულად არ შეცვლილა. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს, წლიურად გაუფასურდა 1.6%-ით, თვის წრილში კი - 0.2%-ით.

ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება.

სავაჭრო პარტნიორთაგან მარტში წლიური ინფლაცია თურქეთში, უკრაინაში, რუსეთში, აზერბაიჯანსა და ბელარუსში საქართველოსთან შედარებით მაღალი იყო, ხოლო სომხეთში, აშშ-სა და ევროზონაში - დაბალი.


ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებიდან ნაწილში ინფლაციის კლების ტენდენცია შეინიშნება, თუმცა მთლიანობაში ფასების დონე ჯერ ისევ მაღალ დონეზე ნარჩუნდება.

**ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური  
გაცვლითი კურსის ინდექსები (იანვარი 2020=100)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საგარეო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები  
(მარტი 2025)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სავალუტო ბაზრის ტენდენციები**


მარტში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 15 კომერციული ბანკი, 1 მიკრობანკი და 6<sup>2</sup> არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით, თვითრად ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის მაღალ კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საგარეო ბრუნვა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა თვითრად შემცირებულია, ხოლო წლიურად გაზრდილი. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 228.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 140.6 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი, წინა წლის მარტთან შედარებით კი - 35.9 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 31.5%-ით გაიზარდა, წლიურად კი 19.7%-ით შემცირდა.

სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები (უცხოური ვალუტით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) თითქმის მთლიანად სპოტ<sup>3</sup> გარიგებებით ხდებოდა (99.0%) და მთლიანმა ვაჭრობამ 3,041.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 55.6 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი, ხოლო თვის წრიულში 241.5 მლნ აშშ დოლარით. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი - იურიდიულ პირებსა და შინამეურნეოებზე, მცირე კი არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 3.3% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით თვის განმავლობაში ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 101.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

<sup>2</sup> რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.  
<sup>3</sup> სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუტურიებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.



**ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ფულადი ბაზარი

მარცში სადებოზიფო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩაფარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადებოზიფო სერტიფიკატი გაიცა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის სადებოზიფო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიფო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და 60 მლნ ლარი შეადგინა.


სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩაფარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 270.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. მარცში ჩაფარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, სამწლიანი, ხუთწლიანი, რვაწლიანი და ათწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 50, 20, 40, 80, 50 და 30 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 233.0 მლნ ლარით გაიზარდა და 10,268.0 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 70.8%-ს კომერციული ბანკების, 14.8%-ს ეროვნული ბანკის, 13.0%-ს რეზიდენტების, ხოლო 1.3%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.

**სადებოზიფო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარცში სადებოზიფო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები ფაქტობრივად არ შეცვლილა, ისევე როგორც სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები. კერძოდ, მარცში, წინა თვესთან შედარებით, სადებოზიფო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 7.5%-ს შეადგენდა. ექვსთვიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით არ შეცვლილა და 7.6% შეადგინა, ასევე ერთწლიანი სახაზინო ვალდებულების საპროცენტო განაკვეთებიც 7.6%-ი იყო. სამწლიანი, ხუთწლიანი და ათწლიანი სახაზინო ვალდებულების საპროცენტო განაკვეთებიც ფაქტობრივად არ შეცვლილა და შესაბამისად 8.4%, 8.6% და 8.9% შეადგინა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მარცში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა თვიურად 3,411.8 მლნ ლარით (წლიურად 6,274.1 მლნ ლარით) 22,106.2 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც უცხოური ვალუდის რესურსით ზრდით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუდის ბრუნვაზე მოდის (84.8%), რომლის მოცულობაც თვიურად 3,326.0 მლნ ლარით (21.6%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვიურად 85.9 მლნ ლარით (2.6%-ით) გაიზარდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი თვიურად 0.2 პპ-ით შემცირდა და 7.9% შეადგინა. უცხოური ვალუდის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით არ შეცვლილა და 1.9% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ მარცში ფულადი ბაზრის რესურსის 31.7% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 68.3% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

### ბანკთაშორის ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


## მონეტარული აგრეგატები

მარცში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 733.8 მლნ ლარით (10.4%-ით) გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 7.8 მლრდ ლარი შეადგინა. მონეტარული ბაზა, საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, წინა თვესთან შედარებით, 149.0 მლნ ლარით (2.0%-ით) გაიზარდა.

სავალუტო აუქციონებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა მარცის განმავლობაში 101.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, შიდა სამთავრობო კონვერტაციებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 27.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, წმინდა უცხოური აქციები დაახლოებით 74.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.


მარცში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 70.3 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის, 917.2 მლნ ლარს გაუცოლდა.

**სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება  
კომპონენტების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფულადი აგრეგატი**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ნაღდ ფულზე მოთხოვნა 8.5 მლნ ლარით შემცირდა. რეფინანსირების სესხებმა, წინა თვესთან შედარებით, 300.0 მლნ ლარით მოიმატა. ერთდღიანი სესხის ნაშთი კი 183.0 მლნ ლარით შემცირდა. მარცში, განთავსდა 20.0 მლნ ლარის სადეპოზიტო სერთიფიკატი და იმავე პერიოდში დაიფარა იგივე ნომინალური მოცულობის სადეპოზიტო სერთიფიკატები. მეორად ბაზარზე, სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ოპერაციები არ განხორციელებულა. მთლიანობაში, მარცში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 767.0 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 8,200.0 მლნ ლარს გაუცოლდა.


მარცში, ფართო ფულის (M3) მოცულობა, თვიურად 461.0 მლნ ლარით გაიზარდა. აღნიშნული გამოწვეულია უმთავრესად, უცხოური ვალუტის დებოზიტების ზრდის გავლენით. რაც შეეხება, ფართო ფულის M2 აგრეგატს, მისი მოცულობა 527.5 მლნ ლარით გაიზარდა.

**საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**მონეტარული ოპერაციები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1  
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06  
ელ ფოსტა: [info@nbg.ge](mailto:info@nbg.ge); [www.nbg.ge](http://www.nbg.ge)

